იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

**Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period**



№20 2026

ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL STUDIES

იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period

20

Tbilisi 2026 თბილისი

გელა გამყრელიძე (*რედაქტორი*).

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

**გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი,
დევიდ ბრაუნდი, დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია,
მარინე კვაჭაძე, ნინო ლორთქიფანიძე, მაია ჩარკვიანი,
დავით მინდორაშვილი, ბიძინა მურვანიძე.**

***

Gela Gamkrelidze (*Editor*).

EDITORIAL & REVIEWERS BOARD:

**Goderdzi Narimanishvili, Vakhtang Shatberashvili,
David Braund, Darejan Kacharava, Guram Kvirkvelia,
Marine Kvatchadze, Nino Lordkipanidze, Maia Charkviani,
David Mindorashvili, Bidzina Murvanidze.**

***

See the web site:
http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela
http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-jpournal-iberia-kolxeti.html
https://georgiannationalmuseum.academia.edu/GelaGamkrelidze

***

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო-სარეცენზიო საბჭოს შეხედულებებს.

***

Tbillisi, GEORGIA.
© *ჟურ. იბერია-კოლხეთი*, **№20,** 2026. გ. გამყრელიძე.
ISSN 1512-4207.
UDC 94(479.22)+902.ი.

სამეცნიერო ჟურნალის საიუბილეო ნომერი (№20) ეძღვნება
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფ. ***იულონ გაგოშიძეს.***

***

THIS JUBILEE ISSUE OF THE SCIENTIFIC JOURNAL IS DEDICATED TO
Prof. ***IULON GAGOSHIDZE.***

90

- შინაარსი –

პროფ. **იულონ გაგოშიძის** შესახებ.----------6.

***

მითრა (ΜΙΘΡΑΣ) - მზის გამოსახულებები გონიოდან. **გელა გამყრელიძე**.----------18.

გვიან ანტიკური ხანის არტეფაქტები სოფ. ზემო ხანდაკიდან.
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი.----------34.

სამთავისის საეპისკოპოსოს დაარსების საკითხი (შიდა ქართლში
ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისთვის). **გიორგი გაგოშიძე**.----------41.

ანტიკური პორტრეტული გემები საქართველოში. **ქეთევან რ. რამიშვილი**.----------53.

არქეოლოგიური არტეფაქტი და ეთნოგრაფიული რეალია — ემპათია და
ტრადიციული კულტურა. **ნინო მინდაძე, თინათინ ჭანიშვილი**.----------69.

ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდები ბრილის სამაროვნიდან. **ანა გაბუნია**.----------75.

ამფორები აღმოსავლეთ საქართველოდან: ახალი აღმოჩენა
დედოფლის გორის სასახლეში. **დავით გაგოშიძე**.----------80.

კოლექციების შექმნის ისტორიიდან. **მედეა შეროზია**.----------90.

ორმაგი ჭურჭელი ალგეთის ხეობიდან. **ნიკოლოზ გობეჯიშვილი, მაია კუბლაშვილი**.---94.

ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის მიმოქცევის საკითხისთვის
მთიან კოლხეთში. **მაია პატარიძე**.----------100.

იმპორტული თიხის ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში
(ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს). **გოდერძი ნარიმანიშვილი**.----------105.

საქართველოში შესწავლილი ანტიკური ხანის ძეგლების გარემო პირობების
რეკონსტრუქცია პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით. **ელისო ყვავაძე,
მაია ჭიჭინაძე**.----------122.

კლდეეთის ვერცხლის ჯამის საიდუმლო: რომის იმპერატორის კიდევ
ერთი პორტრეტი საქართველოდან? **ლანა ჩოლოგაური**.----------141.

აღმოსავლური სტილი ძვ.წ. I ათასწლეულის ქართულ ოქრომჭედლობაში
(წრიული საყურეები). **ნინო ქობალია**.----------153.

ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა ქვემო ქართლიდან (ილმაზლოს
ნამოსახლარი). **გიორგი გოგოჭური, დავით მინდორაშვილი, ბიძინა მურვანიძე**.----------163.

ფიზიკური ანთროპოლოგიიდან ბიოარქეოლოგიამდე: ტერმინოლოგიური
და მეთოდოლოგიური გარდატეხა საქართველოში. **ნინო თავართქილაძე**.----------184.

ყელწიგოიანი ჭურჭლები ურბნისის "25-ე უბნის" სამაროვნიდან. **ანა სახვაძე**.--------196.

ასპავრუკ პიტიახშის სარტყელი არმაზისხევის I სამარხიდან. **მარიამ გველესიანი**.--207.

ქართლის (იბერიის) სამეფოს საეკლესიო გეოგრაფიიდან:
საეპისკოპოსოები. **გიორგი ჭეიშვილი**. ----------220.

რეცენზიები. **ლერი ჯიბლაძე;-------რევაზ კვირკვაია.**----------232.

SUMMARIES. ----------243.

Abbreviations.----------257.

ინფორმაცია ავტორებისთვის. ----------258.

- CONTENTS -

About Prof. IULON GAGOSHIDZE. ----------10.

***

MITHRA (ΜΙΘΡΑΣ) – THE SUN: ARTIFACTS FROM GEORGIA, *GONIO* SITE. Gela Gamkrelidze.----------18.

ARTIFACTS OF 2ND-3RD CENTURIES FROM THE VILLAGE *ZEMO KHANDAKI,* GEORGIA.

Vakhtang Shatberashvili, Maia Charkviani. ----------34.

THE ISSUE OF THE ESTABLISHMENT OF THE *SAMTAVISI* EPISCOPATE (FOR THE HISTORY OF

THE SPREAD OF CHRISTIANITY IN *INNER KARTLI*). Giorgi Gagoshidze. ----------41.

ANCIENT PORTRAIT GEMS IN GEORGIA. Ketevan R. Ramishvili.----------53.

ARCHAEOLOGICAL ARTIFACT AND ETHNOGRAPHIC REALITY: EMPATHY AND TRADITIONAL CULTURE

Nino Mindadze, Tinatin Chanishvili. ----------69.

SILVER FINGER-RINGS FROM THE *BRILI* CEMETERY. Ana Gabunia.----------75.

AMPHORAE FROM EASTERN GEORGIA: RECENT FINDINGS AT THE *DEDOPLIS GORA*. David Gagoshidze.---80.

ABOUT THE HISTORY OF THE CREATION OF COLLECTIONS OF THE PANTIKAPAION STATERS PRESERVED

IN THE NUMISMATIC COLLECTION OF THE S. JANASHIA MUSEUM OF GEORGIA. Medea Sherozia.---------90.

DOUBLE VESSEL FROM THE *ALGETI GORGE.* Nikoloz Gobejishvili. Maia Kublashvili.----------94.

ABOUT THE CIRCULATION OF OCTAVIAN AUGUSTUS DENARIUS IN COLCHIS. Maia Pataridze.----------100.

IMPORTED POTTERY FROM EASTERN GEORGIA (7TH c. BCE-7TH c. CE). Goderdzi Narimanishvili.----------105.

RECONSTUCTION OF THE ENVIRONMENT OF THE ANTIQUE PERIOD BASED ON PALYNOLOGICAL DATA

OF GEORGIAN SITES. Eliso Kvavadze, Maia Chichinadze.----------122.

THE MYSTERY OF THE SILVER BOWL FROM *KLDEETI* (GEORGIA): IS THIS A PORTRAIT OF

MARCUS AURELIUS? Lana Chologauri.----------141.

EASTERN INFLUENCE IN GEORGIAN GOLDSMITHING OF THE 1ST MILLENIUM BC:

CIRCULAR EARRINGS. Nino Kobalia.----------153.

EARLY MEDIEVAL ARCHAREPOLOGICAL MATERIALS FROM *KVEMO KARTLI* (*Ilmazlo* settlement).

Giorgi Gogochuri, David Mindorashvili, Bidzina Murvanidze.----------163.

FROM PHYSICAL ANTHROPOLOGY TO BIOARCHAEOLOGY: THE TERMINOLOGICAL AND

METHODOLOGICAL SHIFT IN GEORGIA. Nino Tavartkiladze.----------184.

THE VESSELS WITH RIBBED NECKS FROM *URBNISI* CEMETERY, PLOT # 25. Anna Sakhvadze.----------196.

THE BELT OF *ASPAVRUK* THE PITIAKSH FROM TOMB N1 AT *ARMAZISKHEVI*. Mariam Gvelesiani.----------207.

FROM THE ECCLESIASTICAL GEOGRAPHY OF KARTLI (Iberia): Episcopal sees. George Cheishvili.-----220.

***

SUMMARIES.----------243.

Abbreviations.----------258.

კლდეეთის ვერცხლის ჯამის საიდუმლო:
რომის იმპერატორის კიდევ ერთი პორტრეტი საქართველოდან?

ლანა ჩოლოგაური

THE MYSTERY OF THE SILVER BOWL FROM *KLDEETI* (GEORGIA):
IS THIS A PORTRAIT OF MARCUS AURELIUS?

Lana Chologauri

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანია გასული საუკუნის 40-იან წლებში კლდეეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ჯამი და მასზე დატანილი პორტრეტული გამოსახულების ახლებური ინტერპრეტაციის მცდელობა. კლდეეთის სამაროვანი, რომელიც 1941-1942 წლებში იქნა ღმოჩენილი და შესწავლილი, გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურის კვლევებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. სამაროვნის მასალა და გათხრების ანგარიში გიორგი ლომთათიძის მიერ 1957 წელს იქნა გამოქვეყნებული ნაშრომში "კლდეეთის სამაროვანი, ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა". აღნიშნული ნაშრომი დღემდე ერთადერთი პუბლიკაციაა, რომელიც ექსპედიციის მიერ შესწავლილი და მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დარბეული სამარხებიდან მოგროვებული მასალის კომპლექსურ აღწერას, დათარიღებასა და კვლევას ეძღვნება. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულებში განხორციელებული არქეოლოგიური აღმოჩენებისა და სამეცნიერო სიახლეების დაგროვებამ კლდეეთის სამაროვნის მასალის ხელახალი გააზრებისა და კომპლექსური კვლევების აუცილებლობის ერთგვარი წინაპირობა შექმნა. სწორედ ამ მხრივ განხორციელებულ კონტრიბუციად შეიძლება ჩაითვალოს წინამდებარე სტატია, რომელიც კლდეეთის ტორევტიკულ მასალაზეა ორიენტირებული.

კლდეეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა ორ ძირითად ჯგუფს მოიცავს. ესენია: 'ექსპედიციამდე აღმოჩენილი და გათხრილი სამარხების ინვენტარი' და 'ექსპედიციის მიერ გათხრილი სამარხები და ინვენტარი'. ის მასალა, რომელიც მეთოდოლოგიურ არქეოლოგიურ გათხრებამდე იქნა აღმოჩენილი და მოგვიანებით შეგროვებული ადგილობრივი მოსახლეობისგან, რამდენიმე (გ. ლომთათიძის აზრით, 2-დან 4-მდე) ინჰუმაციური სამარხის ჩვენამდე მოღწეული ინვენტარია. აღნიშნული ინვენტარი ასევე აერთიანებს იმ დარბეული სამარხის (სამარხი 0) მასალასაც, რომელიც ნაწილობრივ ექსპედიციამ გაწმინდა [ლომთათიძე 1957: 3-5, 11-12]. სამწუხაროდ, ექსპედიციამდე აღმოჩენილი მასალის არქეოლოგიური კონტექსტი მთლიანად დარღვეულია და დაკარგულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, თუ რომელი ნივთი რომელ სამარხში და რა ადგილას იყო განთავსებული. ამ ნიუანსიდან გამომდინარე, ექსპედიციამდე აღმოჩენილი მასალის დათარიღებასა და ინტერპრეტაციაში გარკვეული სირთულეები იჩენს თავს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ სამაროვნის ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო არტეფაქტები, სწორედ დარღვეული სამარხების ინვენტარია. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოქროს მოთვალული აგრაფი, რომლის გემაზე, სავარაუდოდ, ადგილობრივი დიდგვაროვნის პორტრეტული გამოსახულებაა დატანილი.

უკონტექსტოდ გათხრილი სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-საჭურველი; რკინის სამეურნეო ხელსაწყო-იარაღები; ბრინჯაოსა და რკინის ცხენის აღკაზმულობის დეტალები; მინისა და თიხის ჭურჭელი; ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამოსელთან დაკავშირებული აქსესუარები; ძვირფასი ლითონის, ქვების, მინისა და პასტის მძივ-სამკაული; ვერცხლის, ძვლისა და ბრინჯაოს საკულტო დანიშნულების ნივთები; ბრინჯაოს საკეტი მოწყობილობა; ოქროსა და ვერცხლის მონეტები და ვერცხლის ჭურჭელი [ლომთათიძე 1957: 12]. კლდეეთში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია შემდეგი ეგზემპლარებით: ექსპედიციამდე აღმოჩენილი წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ბრტყელძირიანი, სადაზედაპრიანი ჯამი (N8-51:1) და ექსპედიციის მიერ N4 სამარხში გათხრილი მისი ანალოგიური ჯამი (N8-51:2); პინაკის/ჯამის ქუსლი (N11-57:75); პინაკის/ჯამის ნამტვრევები და ორნამენტირებული ფრაგმენტები (N11-

57:76); ორი ცალი მინიატურული ჭურჭელი(?), ე.წ. პაწია ფინჯანი (გ. ლომთათიძის მიხედვით), რომელთა ზედაპირი ვერტიკალური კანელურებითაა დაფარული (N11-57:42) (ტაბ. I:1-4,7) (სტატიაში მოცემული ნივთების საინვენტარო ნომრები ეყრდნობა არა გ. ლომთათიძის 1957წ. ნაშრომს, არამედ ძვირფასი ლითონების ფონდის დღევანდელ საინვენტარო მონაცემებს). კლდეეთის სამაროვანზე აღმოჩენილი თითოეული ვერცხლის ჭურჭელი უმნიშვნელოვანესია საქართველოს გვიანანტიკური ხანის ტორევტიკული მასალის კვლევაში. თუმცა, წინამდებარე სტატიაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ პინაკის ფრაგმენტებზე, რომლებზეც ადამიანის პორტრეტი ყოფილა დატანილი (N11-57:76).

ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში N11-57:76 საინვენტარო ნომრის ქვეშ ვერცხლის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი ერთიანდება, თუმცა დაზიანების ხარისხისა და უსახური ნამტვრევების გამო რთულია იმის თქმა, ყველა ერთსა და იმავე ჭურჭელს ეკუთვნის თუ არა. ამას ემატება გარემოება, რომ ეს ფრაგმენტები ექსპედიციამდე აღმოჩენილი და უსისტემოდ გათხრილი სამარხ(ებ)იდან მომდინარეობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ ორნამენტირებულ ფრაგმენტებს, რომელიც, ჩემი აზრით, უთუოდ ერთი ჭურჭლის ნაწილია. შესაბამისად, ჩვენს წინაშეა რამდენიმე ნატეხი, რომელთა ზედაპირზე განირჩევა მარცხენა პროფილში გამოსახული ადამიანის სახის ზედა ნაწილები – სწორი ან ოდნავ კეხიანი ცხვირი (ფრაგმენტი ამ ადგილას გატეხილია და რთულია ზუსტად თქმა), მარცხენა თვალ-წარბი, შუბლი და ხვეული თმის კულულები, გამოკვეთილი ყვრიმალისა და ლოყის ფრაგმენტი, წვერ-ულვაშიანი პირის ნაწილი და კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ხუჭუჭა თმის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ზუსტად არ მიესადაგება შემორჩენილ ნაწილს (აღნიშნული ფრაგმენტი გრაფიკულ ნახაზზე მივუსადაგეთ თავის არეში, თუმცა, არ გამოვრიცხავთ, ის გამოსახულების სხვა დეტალს, მაგ. ტანსაცმლის ნაწილსაც წარმოადგენდეს) (ტაბ. I-7,8). გარდა ადამიანის სახისა, რამდენიმე ფრაგმენტზე შემორჩენილი წერტილებისგან შედგენილი რკალი გვაძლევს საშუალებას, აღვადგინოთ პორტრეტის სადაზედაპირიანი ფონი და მის გარშემო შემოვლებული წერტილოვანი მოჩარჩოება (ტაბ. I-7,8). ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები ცხადყოფს, რომ საქმე უნდა გვქონდეს ჭურჭელთან, რომლის მხატვრულ გაფორმებას წარმოადგენდა ცენტრალურ მედალიონში გამოსახული წვეროსანი მამაკაცი მარცხენა პროფილში. აქვე უნდა დავამატოთ, რომ სრულიად შესაძლებელია აღნიშნული ცენტრალური მედალიონი ეკუთვნოდეს იმ პინაკს, რომლის წრიული, დაბალი ქუსლი ასევე ექსპედიციამდე განათხარ მასალაშია წარმოდგენილი (N11-57:75) და რომლის ცენტრალური მედალიონიც ამომტვრეულია (ტაბ. I-3). შესაბამისად, ჩვენს წინაშე წარმოდგება ვერცხლის ჯამი (ან ლანგარი) ცენტრში დატანილი ორნამენტირებული მედალიონით. სავარაუდოდ, ამავე ჭურჭლის ცენტრალური მედალიონის რელიეფურ სარტყელს უნდა მიეკუთვნებოდეს რკალისებური ფრაგმენტი, რომელიც ზემოთაღწერილ ორნამენტირებულ ფირფიტებთან ერთადაა კოლექციაში დაცული, იგივე საინვენტარო ნომრის ქვეშ (ტაბ. I-7). მამაკაცის პორტრეტული გამოსახულება და წერტილოვანი მოჩარჩოების დეტალები ვერცხლის თხელ ფირფიტაზეა დატანილი, რის საფუძველზეც იქმენა შთაბეჭდილება, რომ მისი დელიკატური, ფაქიზი ბუნებიდან გამომდინარე, პორტრეტულგამოსახულებიანი ფირფიტა ზემოდან იყო დაკრული ჯამის ზედაპირზე ან მედალიონის ქვედა სარჩულზე, რომელიც ქუსლთან იქნებოდა მირჩილული. სწორედ ამ ფირფიტის დაკერებისა და მირჩილვის ადგილი შესაძლოა ყოფილიყო დაფარული წრიული რელიეფური სარტყელით (თუ რელიეფური სარტყლის ფრაგმენტი ამ ჭურჭელს ეკუთვნის, მაშინ ცენტრალური მედალიონის დიამეტრი დაახლ. 11-12 სმ ზომის უნდა ყოფილიყო).

თუ თვალს გადავავლებთ ვერცხლის ჯამებს ცენტრალურ მედალიონში დატანილი პორტრეტებით, რომელიც აღმოჩენილია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიებზე, შეგვიძლია კლდეეთის ვერცხლის ჭურჭლის სავარაუდო ფორმაც აღვადგინოთ: ამ შემთხვევაშიც საქმე უნდა გვქონდეს დაბალკალთებიან, დაბალქუსლიან და ოდნავ პირმოყრილ სადაზედაპირიან ჯამთან, რომლის მხატვრული გაფორმება ცენტრში, ტონდოში დატანილი იმპერატორის პორტრეტი იყო. თუ

გავითვალისწინებთ გარემოებას, რომ ექსპედიციამდე აღმოჩენილი ნივთების კოლექციაში დაცულია ვერცხლის ჯამის წრიული ქუსლი ამომტვრეული ცენტრალური მედალიონით (N11-57:75), რომელიც ასევე მაღალი ხარისხის ვერცხლისგანაა დამზადებული და წონის მიხედვითაც მასიურია, ჭურჭლის ფორმის აღდგენის მცდელობა შესაძლოა კიდევ უფრო დამაჯერებელი გამოდგეს. ვერცხლის ჯამები ორნამენტირებული ცენტრალური მედალიონით გვიანანტიკური ხანის ტორევტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფორმაა. ჭურჭლის ეს ფორმა გვხვდება იმპერიული ხანის რომაული ვერცხლის ნაწარმში, პართულ და ადრესასანურ ტორევტიკაში. პორტრეტული გამოსახულებებით შემკული ცენტრალური მედალიონით დამშვენებული ჯამები წარმოდგენილია ადრეიმპერიული ხანის ისეთ ცნობილ განძებში, როგორებიცაა ბერთუვილისა და ჰილდერსჰაიმერის, პომპეიში აღმოჩენილ ბოსკორეალესა და მენანდრეს ვილის განძები და სხვა [Avisseau-Broustet & Colona 2017: 262-271; Niemeyer 2018: 34-35, Painter 2001: plt. 14]. რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიებზე აღმოჩენილი დიდი რაოდენობით ვერცხლის ჭურჭლის განძები ცხადყოფს, რომ დაბალკალთებიანი, სადაზედაპირიანი ჯამები ცენტრალურ მედალიონში დატანილი პორტრეტებითა და ჰორელიეფური ბიუსტებით, რომლებიც როგორც მითოლოგიურ პერსონაჟებს, ისე ისტორიულ პირებს გამოსახავდნენ, განსაკუთრებით პოპულარული ახ.წ. I-II საუკუნეებში უნდა ყოფილიყო.

კლდეეთის პორტრეტულგამოსახულებიან ვერცხლის ჯამს უახლესი პარალელები საქართველოში ეძებნება. აღნიშნული ორნამენტირებული ნატეხების აღწერისას, 1957 წლის ნაშრომში გიორგი ლომთათიძე პარალელს ავლებს არმაზისხევის სამაროვნის N1 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის პინაკთან, რომელზეც პროფილში გამოსახული ანტინოეა დატანილი. თუმცა, ავტორი არ გვთავაზობს კლდეეთის პორტრეტის სავარაუდო იდენტიფიკაციას [ლომთათიძე 1957: 21]. არმაზისხევის ანტინოეს პორტრეტიანი ვერცხლის პინაკი მართლაც, ახლო მსგავსებას პოულობს კლდეეთის გამოსახულებასთან: წარმოსადეგი, ტანშიშველი და დაფნის გვირგვინით შემკული ანტინოე მარჯვენა პროფილშია წარმოდგენილი. მისი ბიუსტი სადა ზედაპირზეა გამოყვანილი და მოჩარჩოებულია რელიეფური სარტყელით (ტაბ.II-1) [აფაქიძე და სხვ. 1955: 33-34; ტაბ. XLI]. გარდა ანტინოეს პინაკისა, ცენტრალურ მედალიონში პორტრეტები დატანილია არმაზისხევის N6 სამარხში აღმოჩენილ კიდევ ორ ვერცხლის ჯამზე, თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჰორელიეფურ ბიუსტებთან. აღნიშნული ჯამებიდან ერთ-ერთზე ქალღვთაება ტიხე-ფორტუნას წელსზედა გამოსახულებაა დატანილი, ხელში სიუხვის ყანწით, ხოლო მეორეზე, წვეროსანი, ხუჭუჭა, მხარშიშველი მამაკაცი (ტაბ. II-2,3) [აფაქიძე და სხვ. 1955: 74-75, ტაბ. LXVIII-LXX]. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ბიუსტი ბევრად მოცულობითა და სტილით საკმაოდ განსხვავდება კლდეეთის პორტრეტული კომპიზიციისგან, ვფიქრობ, ისინი უთუოდ უნდა განვიხილოთ ერთი ტიპის ჭურჭლის ჯგუფში, ვინაიდან ჯამების ფორმა, ზომა და ცენტრალური მედალიონის წრიული რელიეფური სარტყელი ყველა მათგანზე თითქმის იდენტურია. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ჯამი არმაზისხევის N1 სამარხიდან, რომლის ფორმა ანტინოეს, ტიხესა და წვეროსანი მამაკაცის პორტრეტებიანი ჯამების მსგავსია, თუმცაღა, უშუალოდ ტონდოში პორტრეტული კომპოზიცია არ გვხვდება [აფაქიძე და სხვ. 1955: 34, ტაბ.XLIII-1,2]. ზემოთ ჩამოთვლილი ვერცხლის ჯამები არმაზისხევიდან ახ.წ. II ს-ის ნაწარმადაა გააზრებული [მაჩაბელი 1983: 96, 99, 113; Мачабели 1976: 38-52].

მამაკაცის მარცხენა პროფილით შემკულ კლდეეთის ვერცხლის ჯამს უახლოესი პარალელი ეძებნება ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილ ჯამთან, რომლის ცენტრში მარკუს ავრელიუსის მოოქროვილი ბიუსტია გამოსახული (ტაბ. II-4). მარკუს ავრელიუსის ვერცხლის ჯამი სამეფო ოჯახის წევრის სარკოფაგში სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად 1946 წელს აღმოჩნდა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვიანებით იჩინა თავი (დღესდღეობით წარმოდგენილია სიმონ ჯანაშიას საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური საგანძურის ექსპოზიციაზე) [აფაქიძე 1973: 59-65; მაჩაბელი 1983: 108-109; Мачабели 1976: 48-53]. ჯამი დამზადებულია მაღალი ხარისხის ვერცხლისგან, აქვს მასიური

კედლები და პრიალა, სადა ზედაპირი. დაბალკალთებიანი ჯამი ოდნავ პირმოყრილია, ხოლო პირის კიდე ოდნავ შესქელებული. აქვს დაბალი წრიული ქუსლი (ზომები: დიამეტრი – 20.5 სმ; სიმაღლე – 7 სმ; მედალიონის დიამეტრი – 6.6 სმ). ცენტრში დატანილია მოოქროვილი მედალიონი, რომელიც რელიეფური სარტყელითაა მოჩარჩოებული. აღნიშნული სარტყლის შიდა მხარეს რელიეფური ზოლი ხშირი ნაჭდევებითაა დაფარული, რაც, ერთი შეხედვით, წერტილოვანი მოჩარჩოების შთაბეჭდილებას ქმნის. მოოქროვილი პორტრეტი რომის იმპერატორს, ანტონინების დინასტიის წარმომადგენელს, მარკუს ავრელიუსს ეკუთვნის (161-180 წწ). იმპერატორი გამოსახულია მარცხენა პროფილში, მოკლე ხუჭუჭა თმითა და წვერ-ულვაშით. თავს უმკობს დაფნის გვირგვინი, რომლის შემკული ბაფთა კისერთან ბოლოვდება. ტანზე აცვია საიმპერატორო მოსასხამი, რომლის დრაპირება და კილიტი მხრებზე რეალისტურადაა გამოსახული (ტაბ. II-4). მთლიანად პორტრეტი მაღალმხატვრული შესრულებითაა გადმოცემული, სახის ნაკვთების მოყვანილობა ეჭვს არ იწვევს, რომ საქმე მარკუს ავრელიუსთან გვაქვს. ბაგინეთის მარკუს ავრელიუსის ვერცხლის პინაკზე მნიშვნელოვანია კიტი მაჩაბელის კვლევა, რომელმაც მხატვრულ-სტილისტური ანალიზის, დროის მანძილზე იმპერატორის ვიზუალური მახასიათებელების ცვლილებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშების ანალიზის საფუძველზე, ჭურჭელი ახ.წ. 170-იანი წლებით დაათარიღა [Мачабели 1976: 48-53]. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაგინეთის ვერცხლის პინაკი დღემდე ითვლება ერთადერთ ნიმუშად, სადაც მარკუს ავრელიუსის პორტრეტი გამოსახულია ვერცხლის ჭურჭელზე [Мачабели 1976: 52-53].

ერთი შეხედვითაც შესამჩნევია მსგავსება ბაგინეთის მარკუს ავრელიუსის პორტრეტსა და კლდეეთში აღმოჩენილ მამაკაცის პორტრეტს შორის. კლდეეთის ჯამზე შემორჩენილი სახის ნაკვთები – სწორი (ან ოდნავ კეხიანი), მოგრძო ცხვირი, შეკრული წარბი და თვალ-ბუდე, ამოწეული ყვრიმალი, ტუჩის კუთხესთან დაშვებული ულვაში და ხუჭუჭა თმა წვერი – ძალიან ემსგავსება ბაგინეთის ვერცხლის ჯამზე დატანილ, იმპერატორის ზემოთაღწერილ პორტრეტს (ტაბ. II-3,4). განსხვავება შეინიშნება ზომებში და მოოქროვებაში, თუმცა ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან საქმე გვაქვს არა ორ ანალოგიურ პორტრეტთან, არამედ ორ სხვადასხვა ნამუშევართან, შესაძლოა დამზადებულს დროის სხვადასხვა მონაკვეთში, სადაც ერთი შედარებით მცირე ზომებშია შესრულებული და მოოქროვილია, ხოლო მეორე ოდნავ დიდია და მთლიანად ვერცხლისგანაა დამზადებული. მსგავსია მედალიონის მოჩარჩოებაც. კლდეეთის ჯამის შემორჩენილ ფრაგმენტებზე წარმოდგენილი წეტილოვანი წრიული ჩარჩო და რელიეფური სარტყელი, რომლითაც სავარაუდოდ, ორნამენტირებული ფირფიტა ჯამის ფსკერზე იყო დამაგრებული და გარშემორტყმული, ასევე ახლოს დგას ბაგინეთის ჯამის მედალიონის მოჩარჩოებასთან. უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ ხშირად, მარკუს ავრელიუსის მონეტების ავერსზე დატანილ მის პორტრეტს გარშემო ანალოგიური, წერტილოვანი მოჩარჩოება შემოუყვება (მაგ. ტაბ. I-5). მსგავსება შეინიშნება კლდეეთის პორტრეტულ გამოსახულებასა და მარკუს ავრელიუსის ცალკეულ მონეტებზე წარმოდგენილ მის პორტრეტებს შორისაც. მაგალითად, კლდეეთისა და ბაგინეთის პორტრეტებთან ყველაზე ახლოს დგას იმპერატორის მიერ 164-165 წლებში მოჭრილი დინარი ნომრით RIC III, N 898, რომლის ავერსზე ანტონინების დინასტიის ახალგაზრდა მონარქი მსგავსი მანერით, ვარცხნილობით, სახის ნაკვთებითა და კისერთან შეკრული ბაფთით დაბოლოებული დაფნის გვირგვინითაა გამოსახული, თუმცა მარჯვენა პროფილში.

კლდეეთის ვერცხლის ჯამზე დატანილი გამოსახულების მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და მოძიებული პარალელების საფუძველზე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც საქმე გვქონდეს მარკუს ავრელიუსის პორტრეტთან. თუმცა, პორტრეტის ფრაგმენტულობის გამო ასევე ვერ გამოვრიცხავთ, ჯამზე ადრიანეს ან ანტონინების დინასტიის სხვა წარმომადგენელი იყოს გამოსახული. კლდეეთის პორტრეტის მარკუს ავრელიუსად იდენტიფიცირებას ხელს უწყობს ძეგლის თარიღი და ცალკეული სამარხეული ინვენტარიც. სამაროვანი გიორგი ლომთათიძეს ახ.წ. II ს-ის შუა ხანებითა და მეორე ნახევრით აქვს დათარიღებული [ლომთათიძე 1957: 169-171]. ძეგლის დათარიღება ეყრდნობა მასალის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს, შედარებით მეთოდსა და ნუმიზმატიკურ მასალას,

აღმოჩენილს როგორც ექსპედიციამდე, ისე უშუალოდ ექსპედიციის მიერ შესწავლილ სამარხებში. კლდეეთში აღმოჩენილი 54 მონეტიდან 35 ექსპედიციამდე აღმოჩენილი და მოგროვილი ნივთების კოლექციაშია წარმოდგენილი და რთულია იმის თქმა, თუ რომელ სამარხში რამდენი და რომელი მონეტა იყო ჩატანებული. მონეტებში გვხვდება ალექსანდრე მაკედონელის ოქროს კოლხური სტატერები, ავგუსტუსის ვერცხლის დინარები (ან/და მათი ადგილობრივი მინაბაძები), გოტარზეს დრაქმები და რომაელი იმპერატორების კესარიული დიდრაქმები [ლომთათიძე 1957: 169]. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა რომის იმპერატორების კესარიული დიდრაქმები, რომლებმაც მკვეთრად განსაზღვრა სამაროვნის ქრონოლოგია. კლდეეთში აღმოჩენილია შვიდი ცალი კესარიული დიდრაქმა: მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ) (1ც), აღმოჩენილია ექსპედიციამდე (ტაბ. I-5); ანტონინუს პიუსის (138-161 წწ) (1ც), აღმოჩენილია ექსპედიციამდე; ადრიანესი (117-138 წწ) (2ც), აღმოჩენილი ექსპედიციის მიერ სამარხი N4-ში; ნერვასი (96-98 წწ), 1 ცალი აღმოჩნდა ექსპედიციამდე, ხოლო 2 ცალი ექსპედიციის მიერ სამარხი N4-ში [ლომთათიძე 1957: 92-99, 151-155, 171].

როგორც ვხედავთ, ნუმიზმატიკური მასალა სამაროვანს ახ.წ. II მეორე ნახევარში ათავსებს, რაც შეესაბამება რომში ანტონინების მოღვაწეობის ხანას. აქვე შეუძლებელია ხაზი არ გავუსვათ ფაქტს, რომ სწორედ ექსპედიციამდე აღმოჩენილი ნივთების კოლექციაშია წარმოდგენილი როგორც პორტრეტიანი ვერცხლის ჯამი, ისე მარკუს ავრელიუსისა და ანტონინუს პიუსის კესარიული დიდრაქმები. ავრელიუსის ზემოთაღნიშნული ვერცხლის მონეტა (ინვენ. No.9304), რომელზეც იმპერატორი უგვირგვინოდაა გამოსახული, კაპადოკიის კესარიაში, დაახლოებით 161-166 წლებში მოჭრილი დიდრქამების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს (ტაბ. I-5) [RPC IV.3 no. 7025; Syd., N331v; Голенко 1964: 39-40, 105]. ვფიქრობ, სრულებითაც არაა გამორიცხული ავრელიუსის მონეტა და მისივე პორტრეტით შემკული ნივთი ერთი სამარხიდან მომდინარეობდეს. საკითხის შესწავლისას რთულია არ გაჩნდეს კითხვები, თუ რამდენად ლოგიკურია, კლდეეთის ჯამზე იმპერატორის პორტრეტი იყოს დატანილი? ან როგორ აღმოჩნდა იმპერატორის პორტრეტით შემკული ეს ძვირფასი ნივთი საქართველოში? უფრო მეტიც, საიდან მოხვდა ეს ჯამი კლდეეთში, ქართლის სამეფოს დედაქალაქის, მცხეთის მიღმა? იმისათვის რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას სიმყარე შევმატოთ, ხოლო ამ კითხვებს დამაჯერებელი პასუხი გავცეთ, მოკლედ გადავხედოთ რომისა და იბერიის სამეფოს ურთიერთობებს ახ.წ. I-II საუკუნეებში.

ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იბერია-კოლხეთის ისტორიაში ახალი ერა აღინიშნება, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინით 'გვიანანტიკური ხანით' ან 'რომაული ხანით' მოიხსენიება და მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში, და ზოგადად კავკასიაში, რომის იმპერიის გამოჩენას. ძვ.წ. 65 წელს საქართველოში პომპეუსის ჯარის შემოსვლის შემდეგ ქართლის სამეფო რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში უნდა გადასულიყო, თუმცა რომისადმი მორჩილება მალევე, ძვ.წ. 30-იანი წლებიდან, უნდა ჩაენაცვლებინა სამოკავშირეო ურთიერთობებს, რაც ქართლის მეფეთა ჭკვიანი პოლიტიკური სვლებით უნდა ყოფილიყო განპირობებულ [ბრაგვაძე 2021:71; Gagoshidze 2008:12]. რომსა და იბერიას შორის არსებული სამოკავშირეო ურთიერთობები ორივე მხარისთვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო: იბერია რომის სახით ძლიერი პარტნიორის ყოლაში არაერთ სარგებელს ხედავდა, მათ შორის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას. ხოლო რომისთვის იბერია სტრატეგიულ სამხედრო პარტნიორს წარმოადგენდა კავკასიაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პართიის იმპერიასა და არმენიასთან დაპირისპირებების ფონზე. ამასთანავე, ქართლის მეეფებთან სამოკავშირეო ურთიერთობებით რომს შეეძლო კონტროლი დაეწესებინა საქართველოზე გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე და რაც ყველაზე მთავარია, ჩრდილო კავკასიონის გადასასვლელებზე, რაც თავის მხრივ, ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა თარეშისგან იმპერიის საზღვრების დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტი იყო.

რომი-იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ინტენსიურობა ახ.წ. I-II სს-ში, რომში ფლავიუსებისა და ანტონინების ზეობის ხანაში, არა მხოლოდ წერილობით წყაროებში, არამედ ქართლის მატერიალურ კულტურაშიც თვალნათლივ აისახა. ფლავიუსების ხანაში

ქართლის მეფეებსა და რომის იმპერატორებს შორის არსებულ სამოკავშირეო ურთიერთობებზე თვალნათლივ მეტყველებს მცხეთის ახ.წ. 75წ. ვესპასიანეს სტელა ბერძნული წარწერით, რომლის მიხედვითაც იმპერატორმა რომის მეგობარ მითრიდატეს, ქართლის მეფეს დედაქალაქის გალავანი გაუმაგრა [წერეთელი 1958: 5-20; Gagoshidze 2008: 18, Braund 1994: 227-230]. ახ.წ. II ს-ის დასაწყისში რომი-იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის დასტურია ასევე რომში აღმოჩენილი ამაზასპის საფლავის ქვის წარწერა, რომლის მიხედვითაც იბერიის მეფის, მითრიდატეს ძმა ამაზასპი, რომლის სამშობლო კასპიის კარიბჭესთანაა, დაიღუპა პართელებთან ბრძოლაში [ყაუხჩიშვილი 1975: 245; Braund 1994: 230; Sauer et al. 2020: 866, 984].

ადრიანესა და მისი მემკვიდრე ანტონინების ზეობის წლებში პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები რომსა და იბერიას შორის კიდევ უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო, რის შესახებაც როგორც არქეოლოგიური მასალა, ისე წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ [Scriptores Historiae Augustae I, *Hadrian,* 17. 10. 11-12; Cass. Dio, 70. 2. 3]. უმნიშვნელოვანესია ადრიანეს ისტორიკოსის, ელიუს სპარტიენის ცნობები იმპერატორსა და ფარსმან II-ს შორის ძღვენის მიმოცვლის თაობაზე [SHA, *Hadrian,* 17. 10. 11-12]. იბერიის სამეფოს მოკავშირეობის მნიშვნელობა რომისთვის განსაკუთრებით ხაზგასმულია ანტონინუს პიუსის მმართველობისას ფარსმან II-ის ვიზიტით რომში. წყაროების ცნობით, რომში ჩასული ფარსმანი და მისი ოჯახის წევრები იმპერატორმა დიდი პატივით მიიღო, აღიარა იბერიის გაფართოებული საზღვრები და ფარსმანს ნება დართო კაპიტოლინზე მსხვერპლი შეეწირა [Cass. Dio, 70. 2. 3;. SHA, *Pius,* 9. 6].

ახ.წ. I-II სს-ში რომი-იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისა და დიპლომატიური ურთიერთობების არქეოლოგიური სამხილები ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაში მრავლად მოიძებნება. ამ მხრივ თვალსაჩინოა მცხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე (არმაზისხევის, ბაგინეთის, სამთავროსა და სვეტიცხოვლის ეზოს სამაროვნების) და მცხეთის მიღმა აღმოჩენილი დიდგვაროვანთა სამარხების ინვენტარი, რომელთა ნაწილი ჩვენში რომიდან დიპლომატიური გზებით უნდა მოხვედრილიყო, საიმპერატორო ძღვენის სახით. იმპერატორის მიერ ძღვენის დარიგება *(Imperial largitio)* თავისი ქვეშევრდომებისთვის და სამხედრო მოკავშირეებისთვის რომის იმპერიაში გავრცელებული პრაქტიკა იყო. საიმპერატორო ძღვენის გაცემის საკითხების ორგანიზება რომის ფინანსთა მინისტრის მოვალეობაში შედიოდა, რაც მის ემბლემაშიცაა ასახული: რომის იმპერიის უმნიშვნელოვანეს ადმინისტრაციულ დოკუმენტში — *Notitia Dignitatum* წარმოდგენილია ფინანსთა მინისტრის ემბლემა, რომელზეც გამოსახულია საიმპერატორო ძღვენი *(largitiones)* [Niemeyer 2018: 88-89, სურ. 77]. საიმპერატორო ძღვენში წარმოდგენილი იყო იმპერატორის მოოქროვილი პორტრეტი, ვერცხლის ლანგრები და ფიალები, ოქროს მონეტებით გავსებული ვერცხლის ლანგრები და ნაჭრის ქისები, ოქროს ფოთლების ფორმის ფირფიტები და ბალთები და სხვა. შესაბამისად, ცხადია, რომ აურეუსები და ვერცხლის ჭურჭელი საიმპერატორო ძღვენის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ მიჩნეულია, რომ საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსები, მოჭრილი თითქმის ყველა იმპერატორის სახელით, რომელთაგან ყველაზე ადრეული ავგუსტუსის აურეუსია (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 15), ხოლო ყველაზე გვიანდელი კონსტანციუს II-ს (337-361 წწ.) სუბერატი და არაერთ ძეგლზეა აღმოჩენილი (არმაზისხევი, სამთავრო, ბაგინეთი, სვეტიცხოველი, არაგვისპირი, ჟინვალი, ხოვლე, ზღუდერი, ბიჭვინთა და სხვა), ჩვენთან საიმპერატორო ძღვენის სახით უნდა მოხვედრილიყო [შეროზია 2015: 38-39]. აურეუსების გულსაკიდად გამოყენების არქეოლოგიურად დაფიქსირებული შემთხვევები არმაზისხევის N2, ხოვლეს მდიდრული აკლდამისა და დედოფალ ულპიას სამარხებიდან (სვეტიცხოვლის ეზო), საიმპერატორო მონეტების მნიშვნელობასა და ღირებულებას ადგილობრივი მმართველებისთვის კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს. მათთვის ეს ნივთები იმნდენად ძვირფასი ძღვენი ან ჯილდო უნდა ყოფილიყო, რომ მათ დემონსტრაციულად გულსაკიდად ატარებდნენ [აფაქიძე და სხვ. 1955: 44; აფაქიძე და სხვ. 2003: 83, 90; დიღმელაშვილი 2022: 220; შეროზია 2025: 130; შეროზია

2015: 38, ტაბ.I, 8-9]. არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ საიმპერატორო ძღვენის მოჭარბება ქართლში ახ.წ. II ს-ის შუა ხანებსა მეორე ნახევარს, ადრიანესა და ანტონინების მმართველობას ემთხვევა. ახ.წ. II საუკუნეს განეკუთვნება არმაზისხევის N1 და N6 სამარხებში აღმოჩენილი სამი ვერცხლის ზემოდხსენებული ჯამი, რომელთაგან ერთზე ტიხე ფორტუნას გამოსახულებაა დატანილი (ტიხე-ფორტუნას კულტი განსაკუთრებით პოპულარული ანტონინების ხანაში გახდა), მეორეზე იმპერატორი ადრიანეს ინტიმური მეგობარი ანტინოე, ხოლო მესამეზე წვეროსანი მამაკაცის ჰორელიეფური ბიუსტი, რომელიც ჩემი მოსაზრებით, თავად იმპერატორ ადრიანეს უნდა გამოსახავდეს. აღნიშნული ჭურჭელი და მასთან ერთად არმაზისხევის, ბაგინეთისა და სამთავროს სამაროვნებზე აღმოჩენილი ადრიანეს აურეუსები შესაძლოა გავიაზროთ, როგორც ადრიანეს ისტორიკოსის მიერ ადრიანესა და ფარსმან II-ს შორის მოხსენიებული დიპლომატიური ძღვენის მიმოცვლის არქეოლოგიური დასტური.

ახ.წ. II სს-ში, ანტონინების მმართველობისას გამოგზავნილი ძღვენი შესაძლოა იყოს ლუციუს ვერუსის (161 – 169 წწ) პორტრეტიანი გემა ციხისძირის განძიდან, რომელიც XIX ს-ის მიწურულს აღმოჩნდა და 1907 წლიდან ერმიტაჟშია დაცული [ინაიშვილი 1993: 10; Braund 1994: 188, სურ.12]. ციხისძირში აღმოჩენილი საიმპერატორო გემა და მასთან ერთად ვერცხლის ლანგარი ტიხე ფორტუნას გამოსახულებით, ცალსახად, რომაული იმპორტია [Мачабели 1976: 38-40]. მკვლევართა ნაწილი ციხისძირის განძს კოლხეთის რომთან ურთიერთობის კონტექსტში განიხილავს [Braund 1994: 187]. თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახ.წ. II ს-ში ციხისძირი ძიდრიტების განსახლების არეალი უნდა ყოფილიყო, რომლებიც არიანეს მიხედვით, ფარსმანის დროს იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში ექცეოდნენ [კეჭაყმაძე 1961: 42; აფაქიძე 1947: 108; ლომოური 1968: 10; ბრაგვაძე 2021: 74]. თუ აღნიშნულ მოსაზრებას სარწმუნოდ მივიჩნევთ, ვფიქრობ, ლოგიკურად ჟღერს, რომ ლუციუს ვერუსის პორტრეტიანი გემა თავდაპირველად მცხეთის სამეფო კარზე გამოიგზავნა, ხოლო შემდეგ იბერიის მეფემ უძღვნა მის ქვეშევრდომს, ციხისძირში მცხოვრებ ადგილობრივ მმართველს.

ვფიქრობ, კლდეეთის ვერცხლის ჯამი, რომელზეც, სავარაუდოდ, მარკუს ავრელიუსია გამოსახული, ბაგინეთის მოოქროვილ ცალთან და სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად (აურეუსები, გემები) უშუალოდ მარკუს ავრელიუსის ზეობის ხანაში უნდა იყოს გამოგზავნილი ქართლის სამეფო კარზე როგორც საიმპერატორო ძღვენი. ამ კონტექსტში საყურადღებოა დედოფალ ულპიას სამარხში აღმოჩენილი გულსაკიდი აურეუსები, რომლებიც მარკუს ავრელიუსის მეუღლის, ფაუსტინა უმცროსისა და ქალიშვილის, ლუცილას სახელითაა მოჭრილი, და მიჩნეულია საჩუქრებად ან ჯილდოდ, რომელიც ქართლის სამეფო ოჯახს ანტონინების იმპერატორის ოჯახისგან მიუღია [აფაქიძე და სხვ. 2003: 83, 90; დიღმელაშვილი 2022: 220; შეროზია 2025: 133-134]. ამავე კონტექსტში უნდა ვახსენოთ ანტონინების დინასტიის წარმომადგენლების, ანტონინუს პიუსის, მარკუს ავრელიუსის, ფაუსტინა უფროსისა და ფაუსტინა უმცროსის აურეუსები და დინარები სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდანაც: არმაზისხევის N7, 9 სამარხები; ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი; ზღუდერის N3 სარკოფაგი; ბანძას ქვევრსამარხი; ბორის განძი და სხვა [აფაქიძე და სხვ. 1955: 94; აფაქიძე 1973: 61; ბრაუნდი და სხვ. 2009: 12; მაკალათია 1928: 185; Придик 1914: 4]. ზემოთჩამოთვლილი აღმოჩენები ასევე შეიძლება გავიაზროთ, როგორც ანტონინუსების მიერ ქართლში გამოგზავნილი საიმპერატორო ძღვენის ნაწილი.

საიმპერატორო ძღვენის კლდეეთში აღმოჩენის საკითხთან მიმართებაში მნიშველოვანია ვახსენოთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობაა. ვის დაქვემდებარებაში იყო კლდეეთელი დიდგვაროვანი ახ.წ. II ს-ში? ერთი მოსაზრებით, კლდეეთელი დიდგვაროვანი განხილულია კოლხურ-რომაული ურთიერთობების კონტექსტში და ძვირფასი ნივთები, მათ შორის რკინის რომაული ინსიგნია-მახვილი (აღმოჩენილია ასევე ექსპედიციამდე გათხრილ მასალაში), უშუალოდ რომიდან ლაზი დიდგვაროვნისთვის გაგზავნილ ჯილდოდაა მიჩნეული [გამყრელიძე და თოდუა 2006: 107-109; Braund 1994: 202]. თუმცა, არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა და კვლევა დამაჯერებელს ხდის მოსაზრებას, რომ ახ.წ. II ს-ში არგვეთი იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო კლდეეთი

არგვეთის ტერიტორიებში ექცეოდა [ბახტაძე 2003; ბრაგვაძე 2021: 51-105; გაგოშიძე 2007: 20-32; ცქიტიშვილი 1964: 77; ჩოლოგაური 2024: 204-205]. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანად ჟღერს ვარაუდი, რომ კლდეეთის საიმპერატორო ძღვენი ქართლის სამეფო კარიდან განაწილებული საჩუქრებია მეფის მორჩილებაში მყოფი არგვეთელი მმართველისთვის. იმპერატორების მსგავსად ქვეშევრდომთათვის ძღვენის დარიგების ტრადიცია რომთან დაახლოებული იბერიის მეფეების აპრობირებული პრაქტიკა უნდა ყოფილიყო თავის ქვეშევრდომებთან მიმართებაში. მცხეთიდან სამეფო ძღვენის განაწილებას რაიონული მმართველებისთვის არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა ადასტურებს, მათ შორის: მეფე ფლავიუს დადესის მიერ ბერსუმა პიტიახშისთვის გაგზავნილი ვერცხლის ლანაგარი არმაზისხევიდან; ზღუდერში აღმოჩენილი არმაზისხევის მსგავსი ლანგარი წარწერით 'ვუბოძებ'; სარგვეშში აღმოჩენილი სასანიდი შაჰის პორტრეტებიანი ვერცხლის თასი; ბორის ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარი და სხვა აღმოჩენები [აფაქიძე და სხვ. 1955: 52-53, ტაბ.LIV-LV; გაგოშიძე და მარგიშვილი 2013: 14-59; ბრაუნდი და სხვ. 2009: 34-35; Tchubinashwili 1925: 83-86; Придик 1914: 5-9]. ლაზთა მეფის მიერ საჩუქრების დარიგების მსგავსი პრაქტიკაა ასახული აფხაზეთში (სოფ. აჩმარდა) და მაიკოპში აღმოჩენილი ვერცხლის თასების წარწერებში სადაც ჩანს, რომ ისინი მეფე პაკორუსმა უძღვნა თავის ვასალებს [ფიფია, დუნდუა 2023: 170-177; დუნდუა, ჩიქობავა 2013: 3-8].

ვფიქრობ, სწორედ დიპლომატიური გზებით უნდა აღმოჩენილიყო კლდეეთში საიმპერატორო პორტრეტით შემკული რომაული ვერცხლის ჯამი. დიდი ალბათობით ის იბერიის მეფეს უნდა გაეგზავნა არგვეთელი დიდებულისთვის. ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ ექსპედიციამდე გათხრილ მასალაში წარმოდგენილი მოთვალული აგრაფი, რომლის სარდიონის გემაზე გამოსახული მამაკაცი ადგილბრივი მმართველის პორტრეტადაა იდენტიფიცირებული (ტაბ. I-6) [ლომთათიძე 1957: 28-30; Braund 1994: 202]. იქიდან გამომდინარე, რომ მარკუს ავრელიუსის(?) პორტრეტიანი ვერცხლის ჯამი, მისი კესარიული დიდრაქმა, ინსიგნია-მახვილი და პორტრეტიანი აგრაფი ექსპედიციამდე გათხრილ, უკონტექსტო მასალაშია წარმოდგენილი, რთულია იმის მტკიცება, რომ ეს ყველაფერი ერთი ადამიანის სამარხში იყო ჩატანებული. თუმცა, ეს მოსაზრება სიმყარეს ნამდვილად არაა მოკლებული და სრულიად შესაძლებელია საქმე გვქონდეს ერთ სამარახში, იქნებ სულას აგრაფზე გამოსახული ადგილობრივი მმართველისთვის ჩატანებული ინვენტარის ერთობლიობასთან.

მაშასადამე, კლდეეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლის კვლევა მისი მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და შედარებითი მეთოდის საფუძველზე, სრულიად შესაძლებელს ხდის მასზე გამოსახული პორტრეტის იდენტიფიცირების მცდელობას. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ბაგინეთსა და არმაზისხევში აღმოჩენილი ახ.წ. II საუკუნით დათარიღებული ჯამების მსგავს დაბალ, სადაკალთებიან ჭურჭელთან, რომლის მხატვრული გაფორმება ცენტრალურ მედალიონში დატანილი მამაკაცის პორტრეტი იყო. პორტრეტის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ცენტრალურ მედალიონში გამოსახული იყო ანტონინების დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, დიდი ალბათობით, მარკუს ავრელიუსი.

ამ ვარაუდს ამყარებს ბაგინეთში აღმოჩენილ პინაკზე დატანილი თითქმის ანალოგიური პორტრეტი, რომელიც უყოყმანოდაა მიჩნეული როგორც ზემოთხსენებული იმპერატორი. მოსაზრებას სიმყარეს მატებს სტატიაში განხილული არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა (ნუმიზმატიკური, გლიპტიკური, ტორევტიკული) და წერილობითი წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვით ახ.წ. II ს-ში რომსა და იბერიას შორის ინტენსიური სამხედრო-პოლიტიკური, დიპლომატიური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა. სავარაუდოა, რომ კლდეეთში არგვეთის მმართველის რეზიდენცია ან/და განსასვენებელი მდებარეობდა, რომლისთვისაც ეს მნიშვნელოვანი საიმპერატორო ძღვენი იბერიის მეფეს უბოძებია.

ბიბლიოგრაფია:

აფაქიძე 1947: აფაქიძე, ან., გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* 14-B. თბ., გვ. 89-111.

აფაქიძე 1973: აფაქიძე, გ. ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი. – ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, №33. თბ., გვ. 59-65.

აფაქიძე და სხვ. 2003: აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ., სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული... , კრებ. *მცხეთა*, VI, გვ. 81-123.

აფაქიძე და სხვ. 1955: აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., *მცხეთა* I, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 1937-1946წწ., თბ.

ბახტაძე 2003: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ.

ბრაგვაძე 2021: ბრაგვაძე, ზ. კოლხეთი და იბერია, არქეოლოგიური ძიებანი. თბ.

ბრაუნდი და სხვ. 2009: ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანძური ზღუდერიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან ახ.წ. 200-250., თბ.

გაგოშიძე 2007: გაგოშიძე ი., ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.წ. I ს-ში, ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), N3., თბ., გვ. 20-32.

გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: გაგოშიძე იულ., მარგიშვილი ს. მეფე ფლავიუს დადის ვინაობისთვის. - ჟურნ. *ონლაინ არქეოლოგია,* N4. თბ., გვ.14-59.

გამყრელიძე, თოდუა 2006: გამყრელიძე გ., თოდუა თ., რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ.

დიღმელაშვილი 2022: დიღმელაშვილი ქ., სამეფო რანგის სამარხები მცხეთიდან სამეფო განსასვენებელთა პრობლემატიკის ჭრილში. – ჟურ. *ქრონოსი* N3. თბ., გვ.216-229.

ინაიშვილი 1993: ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

კეჭაყმაძე 1961: კეჭეყმაძე ნ., ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ.

ლომთათიძე 1957: ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი, ახ.წ. II ს., თბ.

ლომოური 1968: ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ.

მაკალათია 1928: მაკალათია ს., საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისთვის, *საქართველოს მუზეუმის მოამბე*, IV, 1927. თბ., გვ. 161-188.

მაჩაბელი 1983: მაჩაბელი კ., ძველი საქართველოს ვერცხლი. თბ.

ფიფია, დუნდუა 2023: ფიფია ნ., დუნდუა თ., მეფე პაკორუსის/პაკორის წარწერები. კრებ. ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო (რედ. ფიფია ნ., დუნდუა თ.). თბ., გვ. 170-177.

ყაუხჩიშვილი 1975: ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტ. ძვ. ბერძნული წყაროები, თბ.

შეროზია 2025: შეროზია მ., რომაული საიმპერატორო მონეტების სამკაულად გამოყენების შესახებ, ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, N19. თბ., 130-139.

შეროზია 2015: რომაული აურეუსები და მათი მინაბაძები იბერიის ფულად მიმოქცევაში, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*, VI (51-B). თბ., გვ. 38-61.

ჩოლოგაური 2024: ჩოლოგაური ლ., გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი იბერიიდან და კოლხეთიდან, – ზ. ბრაგვაძისადმი მიძღვნილი კრებ. *იბერია-კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები*, თბ., გვ. 202-211, სურ. 21.1-21.8.

ცქიტიშვილი 1964: ცქიტიშვილი გ., ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაო, საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის კრებული, II. თბ., გვ. 71-106.

წერეთელი 1958: წერეთელი გ., მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა. თბ.

Avisseau-Broustet, Colonna 2017: Avisseau-Broustet, M. & Colonna, C. Le trésor de Berthouville, une Découverte "Inattendue Autant Que Merveilleuse". In: *Le luxe dans l'Antiquité : trésors de la Bibliothèque nationale de France.* Arles. pp. 28-55.

Baratte, Painter 1989: Baratte F., Painter, K., *Tresors D'orfevrerie Gallo-Romains.* Paris.

Braund 1994: Baund, D., 1994. *Georgia in Antiquity, A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC – AD 562.* Oxford: Clarendon Press.

Dundua… 2013: Dundua, T., Chikobava A., Pacorus the Lazi king, who was overlord of Colchis/Western Georgia. Tb.
Gagoshidze 2008: Gagoshidze, I., 2008. Kartli in the Hellenistic and Roman Times. The Excavations of the Palace Dedoplis Gora & the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia, -Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes B.13. Beier & Beran, pp. 1-40.
Niemeyer 2018: Niemeyer, B. Römische Siulberschätze. 150 Jahre Hildesheimer Silberfund. Ger.
Painter 2001: Painter K., *The Insula of the Menander at Pompeii, v. IV, The Silver Treasure.* Oxford.
Sauer et al. 2020: Sauer, E. W., Chologauri, L., Gabunia, A., Hopper, K., Lawrance, D., Macdonald, E., et al. Dariali: The Caspian Gates in the Caucasus from Antiquity to the Age of the Huns and the Middle Ages, the Joint Georgian-British Dariali Gorge Excavations & Surveys of 2013-2016. The UK.
Tchubinashvwili 1925: Tchubinashwili, G., Der Fund von Sargweschi. - Известия Кавказского историко-археологического института, т. 3, Тб.
Голенко 1964: Голенко К., Денежное обращение Колхиды в Римское время. Ленинград.
Мачабели 1946: Мачабели, К. *Позднеантичная торевтика Грузии.* Тб.
Придик 1914: Придикъ, Е. *Новые Кавказские Клады.* Петроград.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I- კლდეეთში აღმოჩენილი მასალის ერთი ჯგუფი: **1.** წაკვეთილი კონუსის ფორმის ჯამი N 8-51:1; **2.** წაკვეთილი კონუსის ფორმის ჯამი N 8-51:2; **3.** პინაკის/ჯამის ქუსლი N11-57:75; **4.** მინიატურული ჭურჭლები - "პაწია ფინჯნები" N11-57:42; **5.** მარკუს ავრელიუსის დიდრაქმა (ნუმიზმატიკის ფონდი, N9304); **6.** აგრაფი სარდიონის გემაზე გამოსახული მამაკაცის პორტრეტით (ფოტო ლომთათიძე 1957: ტაბ. I-ის მიხედვით); **7.** ჭურჭლის ორნამენტირებული ფრაგმენტები მამაკაცის პორტრეტული გამსოახულებით და რელიეფური რკალის ფრაგმენტი N11-57:76. ფოტოების ავტორი ლანა ჩოლოგაური, საქართველოს ეროვნული მუზეუმი; **8.** კლდეეთის ვერცხლის ჯამის გრაფიკული ჩანახატი. ავტორი ციცინო თურქიაშვილი.

ტაბ.II- 1. ანტინოეს პორტრეტით შემკული ვერცხლის ჯამი. არმაზისხევის N1 სამარხი; **2.** ტიხე-ფორტუნას პორტრეტით შემკული ვერცხლის ჯამი. არმაზისხევის N6 სამარხი; **3.** წვროსანი მამაკაცის (ადრიანე?) ბიუსტით შემკული ვერცხლის ჯამი. არმაზისხევის N6 სამარხი; **4.** მარკუს ავრელიუსის პორტრეტით შემკული ჯამი. ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი. ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური, *საქართველოს ეროვნული მუზეუმი.* **5.** ბაგინეთის ვერხლის ჯამზე დატანილი მარკუს ავრელიუსის პორტრეტი ახლო ხედით; 6. სავარაუდოდ, ასევე მარკუს ავრელიუსის პორტრეტი კლდეეთის ჯამზე; ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური, *საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

***

მადლობის სიტყვა: *სტატია მომზადებულია სადოქტორო კვლევის ფარგლებში, ჯონ ვილკინსონის კვლევითი გრანტის (Friends of Academic Research in Georgia – FaRiG-ის) მხარდაჭერითა და საქართველო ეროვნული მუზეუმის ნებართვით. მადლობას ვუხდი ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმ. მუზეუმის ადმინისტრაციასა და ამავე მუზეუმის ძვირფასი ლითონებისა და ნუმიზმატიკის ფონდების კურატორებს, ბ-ნ* ***მინდია ჯალაბაძესა*** *და ქ-ნ* ***მედეა შეროზიას****, რომელთა ნებართვითა და დახმარებით შევძელი საკვლევ მასალაზე წვდომა, მათი ფოტოფიქსაცია და გამოქვეყნება აღნიშნულ სტატიაში. მადლიერი ვარ ქალბატონი* ***ციცინო თურქიაშვილისა*** *მის მიერ განსაკუთრებით მაღალ დონეზე შესრულებული გრაფიკული ჩანახატისთვის.*

***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

I

1

2

3

4

5

6

7



8

II

1

2

3

4

5

6

The Mystery of the Silver Bowl from Kldeeti, Georgia: Is this a Portrait of a Roman Emperor?

Summary

This paper examines a silver vessel discovered in 1941 at the Kldeeti cemetery, Georgia, aiming to propose a new interpretation regarding the identification of the male portrait depicted on its central medallion. Fragments of the medallion, together with pieces of its decorative frame and a section of the bowl's low ring foot, were uncovered during earthworks conducted by local villagers. As a result, crucial contextual information, such as the number of graves excavated and the precise association of artefacts with individual burials, has unfortunately been lost.

Alongside the vessel, coins and other luxury items, including an adornment with a gemstone engraved with a male figure, were also recorded within the same assemblage. Based on the stylistic and comparative analyses, together with the numismatic evidence, the Kldeeti cemetery has be attributed to the second century AD.

The surviving fragments of the medallion depict a bearded man in left profile, characterized by curly hair, a straight (or possibly ridged) nose, and a raised eyebrow. The composition was likely framed by a dotted circular band and a relief ring, as suggested by the preserved fragments. Although the damaged condition of the medallion complicates identification, close parallels can be found among the imported Roman silverware of the second century discovered in the Armaziskhevi royal necropolis. This group of shallow silver bowls, distinguished by their low ring feet and decorated central roundels, includes examples portraying Antinous, the Tyche-Fortune, and a bearded man, possibly Emperor Hadrian(?). The Kldeeti portrait shows the closest resemblance to the silver bowl from the Bagineti sarcophagus, which features a gilded central roundel depicting Marcus Aurelius. The similarity in facial features and in the framing of the medallion suggests that the Kldeeti bowl likewise portrays Marcus Aurelius or one of the Emperors of the Antonine dynasty.

The *didrachms* of Caesarea of Marcus Aurelius and Antoninus Pius found at Kldeeti, together with the discoveries across Georgia including the gems and aurei of the Roman emperors, indicates that imperial gifts reached the Kingdom of Iberia during the reign of the Antonine emperors. This assumption is further supported by the written sources emphasizing the intense diplomatic interactions between Rome and Iberia. It is therefore proposed that the Kldeeti bowl represents a portrait of a Roman Emperor and that such vessels supposedly arrived in Kldeeti as redistributed imperial gifts from the royal court at Mtskheta. The date of the Kldeeti cemetery and its location within the borders of the Kingdom of Iberia further reinforce this interpretation.

Acknowledgments: This paper was prepared as part of my doctoral research with the support of the John Wilkinson Research Grant, sponsored by the Friends of Academic Research in Georgia (FaRiG), and with the permission of the Georgian National Museum, to which I am deeply grateful. I would like to express my sincere thanks to the administration of the Simon Janashia Georgian State Museum and to the curators of the numismatic and precious metal collections, Mindia Jalabadze and Medea Sherozia, for their kind permission and invaluable assistance in accessing, photographing, and publishing the materials presented in this study. I am also greatly indebted to Tsitsino Turkiashvili for the exceptionally detailed drawing of the Kldeeti silver bowl.

***